

## საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის

მინისტრის ბრძანება №107

1996 წლის 12 აგვისტო

ქ.თბილისი

წყლის გამოყენების პირველადი აღრიცხვის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ  
დამტკიცდეს „წყლის გამოყენების პირველადი აღრიცხვის წარმოების წესი“.

**ნ. ჩხოზაძე**

დამტკიცებულია  
საქართველოს გარემოსა და  
ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის  
1996 წლის 12 აგვისტოს N107  
ბრძანებით

შეთანხმებულია  
საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის  
სახელმწიფო დეპარტამენტთან \_ ლ.გიგინეიშვილი  
1996 წლის 30 ივლისი

### წყლის გამოყენების პირველადი აღრიცხვის

#### წარმოების წესი

##### 1. შესავალი

1.1. წყლის გამოყენების პირველადი აღრიცხვა წარმოადგენს წყალაღების და წყალჩაშების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების გაზომვას, დამუშავებას და რეგისტრაციას დადგენილი წესით.

1.2. წყლის გამოყენების პირველად აღრიცხვას ექვემდებარება სამრეწველო, სამშენებლო, სატრანსპორტო, სასოფლო-სამეურნეო და სხვა პროფილის საწარმო-ე-ბ-ის, ორგანიზაციების, დაწესებულებების და სხვა იურიდიული პირების (საკუთრე-ბის და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად) მიერ გამოყენებული წყლები, წყალმომარაგების წყაროებისა და ჩამდინარე წყლების მიმღები ობიექტების მიუხედავად.

1.3. წყალმოსარგებლები წყლის გამოყენების პირველად აღრიცხვას აწარმოებენ საკუთარი სახსრებით.

1.4. წყლის გამოყენების პირველადი აღრიცხვის მონაცემები წარმოადგენენ საფუძველს სახელმწიფო სტატისტიკური ანგარიშგების 2-გდ “წყალმეურნეობა” ფორმის

შევსებისათვის, წყლის რაციონალურ გამოყენებაზე და დაცვაზე კონტროლისათვის და ასევე წყლის აღებაზე და წყლების ჩაშვებაზე გა-და-სახადების დადგენისათვის.

1.5. პასუხისმგებლობა წყლის გამოყენების პირველადი აღრიცხვის სრულყოფილად და სათანადო სიზუსტით წარმოებაზე აკისრია საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, მეწარმე სუბიექტებს და სხვა იურ-ი-დიულ პირებს, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე ახორციელებენ წყალმომარებას.

1.6. წყლის გამოყენების პირველადი აღრიცხვის მონაცემები ტარდება ჟურ-ნა-ლებში დადგენი-ლი ფორმებით, რომლებიც დამტკი-ცე-ბულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ, საქართველოს სოციალ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო დეპარ-ტა-მენ-ტთან შეთანხმებით.

## **2. მითითებები “პად-4”, “პად-5” და “პად-6” ფორმების შევსებაზე და გამოყენებაზე**

2.1. თითოეულ წყალმომარებელ მეწარმე სუბიექტს, ორგანიზაციას, დაწესებულებას და სხვა იურიდიულ პირს უნდა ჰქონდეს წყალმომარაგების (მათ შორის ბრუნვითი და განმეორებითი) და წყალარინების გამსხვილებული სქემა, რომელზეც მინიშნებული და დანომრილია წყალაღებისა და წყალჩაშვების გაზომვის ადგილები, ასევე წყლის სხვა მომხმარებელზე გადაცემის წერტილები.

2.2. წყლის ხარჯის გაზომვა წარმოებს წყალაღების, ჩამდინარე წყლების ჩაშვების, ბრუნვითი და განმეორებითი წყლმომარაგების სისტემების და წყლის ჩაშვების სხვა მომხმარებელზე გადაცემის თითოეულ წერტილში.

2.3. თითოეული წყალაღების, ჩამდინარე წყლების ჩაშვების, ახალი და ჩამდინარე წყლის მიღებისა და გადაცემის წერტილებისათვის, ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემისათვის და ა.შ. დგება ცალ-ცალკე ჟურნალი ან ერთ ჟურნალში გამოიყოფა ფურცლების გარკვეული რაოდენობა.

2.4. ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემებს განეკუთვნება ტექნიკური წყალმომარაგების სისტემები, რომლებიც გათვალისწინებულია საწარმოს ტექნოლოგიურ ციკლში წყლის მრავალჯერადი გამოყენებისათვის. წყალი ბრუნვით სისტემაში შეიძლება მიწოდებული იქნას წინასწარი დამუშავების გარეშე ან გაიაროს შესაბამისი დამუშავება.

2.5. ბრუნვითი სისტემის წყლის წლიური ხარჯი რიცხვობრივად უტოლდება ახალი წყლის იმ რაოდენობას, რომელიც უნდა აეღო წყალმომხმარებელს სამრეწველო მიზნებისათვის ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემის უქონლობის შემთხვევაში.

2.6. ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემებს არ განეკუთვნება წყალმომარაგების ის სისტემები, რომლებშიც ნახმარი წყლების გასაცივებლად ან დასაყოფნებლად (აკუმული-რე-ბი-სა-თვის) გამოიყენება საქართველოს ერთიანი სახელმწიფო წყლის ფონდის ობიექტები (მდინარეები, ტბები, არხები, წყალსაცავები), გარდა ავსებადი წყალსაცავებისა, გამაცივებელი ტბორებისა და სხვა აღნიშნული მიზნებით გამოყენებადი განკერძოებულ სარგებლობაში გადაცემული წყლის ობიექტებისა.

2.7. ჩამდინარე წყლების თვისებები და მათში ინგრედიენტების შემადგენლობა განისაზღვრება წყლის ობიექტში თითოეული ჩაშვებისათვის, აგრეთვე თითოეულ ჭაბურღილზე, რომლითაც ჩამდინარე წყლები ჩაიტუმბება მიწისქვეშა ჰორიზონტებში, თუ ამ უკანასკნელთ აქვთ კავშირი მიწისქვეშა წყლებთან.

2.8. ერთ საწარმოში რამდენიმე წყალაღების და ჩამდინარე წყლების ჩაშვების არსებობის შემთხვევაში, თითოეულ მათგანზე უნდა წარმოებდეს წყლის გამოყენების პირველადი აღრიცხვის ჟურნალი “პად-4”, “პად-5” და “პად-6” ფორმების შესაბამისად.

2.9. წყალმზომი ხელსაწყოებისა და მოწყობილობების შერჩევა ხდება გასაზომი წყლის ხარისხის, მისი ხარჯის სიდიდისა და ამპლიტუდის (მაქსიმალური და მინიმალური), წყალამლები და წყალჩამშვები ნაგებობების წარმადობის მიხედვით.

2.10. წყალმომხმარებელ ობიექტებზე, რომლებზედაც არაა დამონტაჟებული წყალმზომი ხელსაწყო-მოწყობილობა, დროებით მათ დამონტაჟებამდე, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ადგილობრივ სამსახურებთან შეთანხმებით, წყლის ხარჯი შეიძლება განისაზღვროს: პროდუქციის ერთეულზე წყალმომხმარება-წყალჩამშვების ნორმების, წყალსაქაჩი ტუმბოების მახასიათებლების, ელექტროენერჯის ხარჯის მიხედვით და სხვა. არაპირდაპირი მეთოდით გაზომილი წყლის ხარჯის მაჩვენებლები შეიტანება “პად-5” ფორმის პირველადი აღრიცხვის ჟურნალში.

2.11. უწყებრივი ლაბორატორიული კონტროლის განხორციელების წესი წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლების ჩაშვებაზე (პერიოდულობა, ალების ადგილი, ჩამდინარე განსასაზღვრი დაძაბინძურებელი ნივთიერებების (ინგრედიენტების) ნუსხა და რაოდენობა, მათი ანალიზის მეთოდები და ა.შ.) უნდა იქნეს შეთანხმებული საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან.

2.12 თითოეულ წყალმოსარგებლე ობიექტზე პირველადი აღრიცხვის ფორმებს ყოველდღიურად ავსებს წყლის გამოყენების პირველადი აღრიცხვის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი და აწერს ხელს. ფორმის შევსების სისწორე და მათში მოყვანილი მონაცემების უტყუარობა ყოველთვიურად მოწმდება წყალმოსარგებლე ობიექტის შესაბამისი სამსახურის ხელმძღვანელის მიერ, რაც დასტურდება ჟურნალში მისი ხელმოწერითა და ბეჭდით.

### **3. წყალმომხმარების პირველადი აღრიცხვის ჟურნალის (ფორმა “პად-4”) შევსება წყალმზომი ხელსაწყო-მოწყობილობების ჩვენებების მიხედვით**

3.1. ფორმა “პად-4” გამოიყენება წყლის რაოდენობის განსაზღვრისათვის:

- ა) წყლის ობიექტებიდან ან სხვა წყალმომარაგების სისტემებიდან წყლის ალებისას;
- ბ) წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლების ჩაშვებისას ან მათი სხვა მომხმარებელზე გადაცემისას;
- გ) წყლის ჩაშვებისას ფილტრაციის და აორთქლების მინდვრებზე, შემგროვებლებში და ა.შ.;

დ) ბრუნვითი და განმეორებითი წყალმომარაგების სისტემებში წყლის გამოყენებისას.

ჩანაწერები ჟურნალში “პად-4” ფორმის მიხედვით წარმოებს ყოველდღიურად წყლის ხარჯის გაზომილი ხელსაწყოების მონაცემების საფუძველზე.

3.2. მე-2 გრაფაში იწერება წყალმზომი ხელსაწყოს ახალი მაჩვენებელი, მე-3 გრაფაში წყალმზომის ძველი მაჩვენებელი. მათი სხვაობით მიღებული წყლის ხარჯის მნიშვნელობა ჩაიწერება მე-4 გრაფაში შემდგომში ყოველთვიური და მთლიანად წლიური დაჯამებით ათას კუბურ მეტრებში.

3.3. წყალმზომი ხელსაწყოს მწყობრიდან დროებით გამოსვლის შემთხვევაში წყალ-სარ-გე-ბლობის პირველადი აღრიცხვისათვის გამოიყენება ფორმა “პად-5”.

### **4. წყალმომხმარების (წყალჩამშვების) აღრიცხვის ჟურნალის (ფორმა “პად-5”) წარმოება წყლის ხარჯის გასაანგარიშებლად არაინსტრუმენტული მეთოდების გამოყენებისას**

4.1. ფორმა “პად-5” გამოიყენება წყლის ხარჯის აღრიცხვისათვის წყალმოსარგებლე ობიექტებზე წყალმზომი ხელსაწყოების უქონლობის შემთხვევაში, როგორც გამონაკლისი.

4.2. იმ შემთხვევაში, როდესაც წყლის პირველადი აღრიცხვა წარმოებს ელექტრო-ენერჯის მიხედვით, მე-2 გრაფაში აღრიცხება 1მ3 წყლის გადაქაჩვაზე დახარჯული

ელექტრო-ენერჯის რაოდენობა, მე-3 გრაფაში შეიტანება მთლიანად საანგარიშო პერიოდში (თვე, წელი) ელექტროენერჯის ხარჯი ათას კვტ.სთ-ში. მე-3 გრაფაში შეტანილი მონაცემების გაყოფით მე-2 გრაფის მონაცემებზე მიიღება წყლის ხარჯის სიდიდე, რომელიც ჩაიწერება მე-4 გრაფაში.

4.3. სატუმბო სადგურებზე წყლის ხარჯის დადგენა ხორციელდება ტუმბოების წარმადობის და მათი მუშაობის ხანგრძლივობის მიხედვით. ტუმბოების წარმადობა განსაზღვრულია მათ პასპორტებში.

4.4. გამოშვებული პროდუქციის მიხედვით წყლის აღრიცხვისას, მე-3 გრაფაში ჩაიწერება გამოშვებული პროდუქციის დღე-ღამური მოცულობა. მე-2 გრაფაში პროდუქციის ერთეულზე დახარჯული წყლის რაოდენობა (ხვედრითი ხარჯი). წყლის დღე-ღამური ხარჯი განისაზღვრება მე-2 და მე-3 გრაფების მაჩვენებლების გადამრავლებით, რომელიც ჩაიწერება მე-4 გრაფაში.

4.5. სარწყავი ფართის მიხედვით წყლის აღრიცხვისას, საანგარიშოდ მიიღება ფაქტიურად მორწყული ფართობის სიდიდე და დადგენილი სარწყავი ნორმა.

### **5. ჩაშვებული ჩამდინარე წყლების ხარისხის აღრიცხვის ჟურნალის (ფორმა “პად-6”) წარმოება**

5.1. “პად-6” ფორმები გამოიყენება ყველა საწარმოში (ორგანიზაციაში), რომლებიც უშვებენ ჩამდინარე წყალს ბუნებრივ წყლის ობიექტებში (ზედაპირული, მიწისქვეშა), ფილტრა-ციის მინდვრებზე, შემაგროვებლებში, ამოსაწმენდ ორმოებში, მიწათმოქმედების სარწყავ მინდვრე-ბზე, აგრეთვე გადასცემენ ჩამდინარე წყალს საქალაქო ან სხვა საკანალიზაციო სისტე-მაში.

5.2. ფორმის დანიშნულებაა იმ ინგრედიენტების რაოდენობის აღრიცხვა, რომლებიც ჩაედინებიან წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად, ჩაშვების თითოეულ წერტილში ჩანაწერებს ჟურნალში “პად-6” ფორმით აწარმოებენ ჩამდინარე წყლების ანალიზების საფუძველ-ზე, რომელთა შედეგები შეიტანება მე-2 გრაფაში.

5.3. ყოველი სინჯის აღებისას უნდა განისაზღვროს ჩამდინარე წყლის ხარჯის სიდიდეც.

5.4. ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებული დამაბინძურებელი ნივთიერებების რაოდენობა განისაზღვრება შესაბამისი ინგრედიენტის კონცენტრაციის და ჩამდინარე წყლების ხარჯის სიდიდეების ნამრავლით. მიღებული შედეგები შეიტანება მე-5 გრაფაში.

5.5. ჩაშვებული დამაბინძურებელი ნივთიერებების თვითური და წლიური ჯამური რაოდენობა ჩაიწერება მე-5 გრაფაში კილოგრამებში, ხოლო ჟმ, ნავთობპროდუქტები, შეწონილი ნაწილაკები, მშრალი ნაშთი, სულფატები, ქლორიდები, ფოსფატები და აზოტი -ტონებში, მძიმის შემდეგ ორი ნიშნის სიზუსტით.

### **ფორმა “პად-4”**

დამტკიცებულია

საქართველოს გარემოსა და

ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის

1996 წლის 12 აგვისტოს №107 ბრძანებით

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური

ინფორმაციის სახელმწიფო დეპარტამენტთან

შეთანხმებით

საწარმო (ორგანიზაცია) .....

სამქრო (უბანი) .....

წყლის აღრიცხვის პუნქტის დასახელება და მისი ადგილმდებარეობა .....

წყლის წყაროს (მიმღების) დასახელება და სახეობა .....

**წყალმზომი ხელსაწყოებით და მოწყობილობებით წყალმომარების (წყალჩაშვების) აღრიცხვის ჟურნალი**

გახსნილია ‘.....’ ..... 199 წ.

დახურულია ‘.....’ ..... 199 წ.

ჟურნალი შედგება.....ფურცლისაგან

მოცემული ნიმუშის მიხედვით იბეჭდება ჟურნალის ყველა გვერდი

ხარჯის გაზომვის თარიღი	ხარჯმზომის ახალი მაჩვენებლები	ხარჯმზომის ძველი მაჩვენებელი	წყლის ხარჯი, მ3/დღ, ათასი მ3/თვე	აღრიცხვის განმახორციელებელი პირის ხელმოწერა
1	2	3	4	5

შეამოწმა ..... (თანამდებობა) ..... (ხელმოწერა) ..... (სახელი, გვარი) ‘.....’ ..... 199 წ.

**ფორმა “პად-5”**  
დამტკიცებულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 1996 წლის 12 აგვისტოს №107 ბრძანებით საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო დეპარტამენტთან შეთანხმებით

საწარმო (ორგანიზაცია) .....

სამქრო (უბანი) .....

წყლის აღრიცხვის პუნქტის დასახელება და მისი ადგილმდებარეობა .....

წყლის წყაროს (მიმღების) დასახელება და სახეობა

.....

**არაინსტრუმენტული მეთოდების გამოყენებით წყალმოხმარების (წყალჩაშვების) აღრიცხვის ჟურნალი**

გახსნილია ‘.....’ ..... 199 წ.

დახურულია ‘.....’ ..... 199 წ.

ჟურნალი შედგება.....ფურცლისაგან

მოცემული ნიმუშის მიხედვით იბეჭდება ჟურნალის ყველა გვერდი

რიცხვი, თვე	წყლის ხვედრითი ხარჯი პროდუქციის ერთეულზე (მ3), ელექტროენერგიის ხვედრითი ხარჯი (კვტ.სთ/მ3), ტუმბოების წარმადობა (მ3/სთ)	გამომშვებული პროდუქციის მოცულობა (ტ.ც,მ3), საანგა-რიშო პერიოდში ელ.ენერგიის ხარჯი (ათ.კვტ.სთ), ტუმბოს მუ-შაო-ბის ხანგრძლივობა (დღ,სთ)	წყლის ხარჯი საანგარიშო პერიოდში ათას მ3	აღრიცხვის განმახორციელებელი პირის ხელმოწერა
1	2	3	4	5

შეამოწმა .....  
(თანამდებობა) (ხელმოწერა) (სახელი, გვარი)  
‘.....’ ..... 199 წ.

**ფორმა “პად-6”**  
დამტკიცებულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 1996 წლის 12 აგვისტოს N107 ბრძანებით საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო დეპარტამენტთან შეთანხმებით

საწარმო (ორგანიზაცია) .....

საამქრო (უბანი)  
.....

წყლის აღრიცხვის პუნქტის დასახელება და მისი ადგილმდებარეობა  
.....

წყლის წყაროს (მიმღების) დასახელება და სახეობა

.....

**ჩაშვებული ჩამდინარე წყლების ხარისხის აღრიცხვის ჟურნალი**

გახსნილია ‘.....’ ..... 199 წ.

დახურულია ‘.....’ ..... 199 წ.

ჟურნალი შედგება.....ფურცლისაგან

მოცემული ნიმუშის მიხედვით იბეჭდება ჟურნალის ყველა გვერდი

თარიღი და სინჯის აღების ადგილი	ინგრედიენტის დასახელება	ინგრედიენტის კონცენტრაცია მგ/ლ	ჩამდინარე წყლების ხარჯი ათას მ <sup>3</sup> /დღ	ჩაშვებული ინგრედიენტების რაოდენობა კგ	აღრიცხვის განმახორციელებელი პირის ხელმოწერა
1	2	3	4	5	

შეამოწმა .....  
(თანამდებობა) (ხელმოწერა) (სახელი, გვარი)  
‘.....’ ..... 199 წ.